საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030185434985817

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/54425 **22 / აგვისტო / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 16 მაისის Nბს-177-175 (კ-17) განჩინებით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრის“ სასარგებლოდ დაეკისრა დაწესებულებაში 2011 წლის 24 მარტს ბორის მჭედლიშვილისთვის ჩატარებული გულის ქირურგიული ოპერაციისათვის (პაციენტს ჩაუტარდა კორონარული შუნტირება) დადგენილი 70%-იანი სახელმწიფო თანადაფინანსების წესით გადასახდელი თანხის – 6440 ლარის ანაზღაურება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ (პროგრამული კოდი-35 03 01) პროგრამის „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა ამავე პროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე.

ასევე, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 9 მარტის N121 დადგენილებით „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში (პროგრამული კოდი-35 02 03 01) გათვალისწინებულია საქონლის ლოგისტიკის ხარჯი, რომელიც უნდა განხორციელდეს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, შესაბამისად საჭიროა ზემოაღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ასიგნებები.

ასევე, გაცნობებთ, რომ „დიაბეტის მართვა“ (პროგრამული კოდი-35 03 03 02) სახელმწიფო პროგრამის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო რიგი მედიკამენტების შესაძენად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. ევროსთან მიმართებაში ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით გაიზარდა მესამე კვარტალში დაგეგმილი ხარჯი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარჯების სრულად დასაფინანსებლად საჭიროა მიმდინარე კვარტალში ასიგნებების გაზრდა ამავე პროგრამის მეოთხე კვარტლის ასიგნებების შემცირების ხარჯზე. კვარტლების დაბალანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ (პროგრამული კოდი-35 02 02) პროგრამის ასიგნებები.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნოე ქინქლაძე